პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ПРОЛЕТАРИИ ВСЕХ СТРАН, СОЕДИНЯЙТЕСЬ!

# მებრძოლი გუშაგი

# Боевой страж

გაზეთი გამოდის 1926 წლიდან
ГАЗЕТА ВЫХОДИТ С 1926 ГОДА

საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს ორგანო
ОРГАН МИНИСТЕРСТВА ВНУТРЕННИХ ДЕЛ ГССР

შაბათი, 10 დეკემბერი, 1988 წელი. ● № 50 (3078) ● СУББОТА, 10 ДЕКАБРЯ 1988 г.

КУРСОМ XIX ПАРТКОНФЕРЕНЦИИ

## СТРОИТЬ РАБОТУ С УЧЕТОМ ВЫЯВЛЕННЫХ НЕДОСТАТКОВ

**УЖЕ ДЛИТЕЛЬНОЕ** время в органах внутренних дел республики успешно используется такая форма борьбы с правонарушениями как проведение комплексных оперативно - профилактических мероприятий. Целью этих мероприятий, осуществляющихся в тесном контакте с местными партийными и советскими органами, членами ДНД, представителями общественности, является качественное улучшение борьбы с правонарушениями в городах и районах с осложненной оперативной обстановкой.

Широкая и многоплановая программа укрепления правопорядка и соцзаконности по всем основным направлениям оперативно-служебной деятельности была осуществлена в ходе проведенного с 14 по 23 ноября очередного мероприятия, в результате которого, в целом по республике, достигнуты некоторые положительные результаты.

Общее число преступлений по линии уголовного розыска сократилось на 9,2 процента, удалось добиться снижения числа покушений на убийства, изнасилований, грабежей и разбоев личного имущества граждан. Достигнуты положительные сдвиги в обеспечении охраны общественного порядка, в результате чего число хулиганских проявлений в период проведения мероприятий сократилось на 50 процентов.

Однако, несмотря на определенные результаты, показатели по ряду направлений оперативно-служебной деятельности оставляют желать лучшего. Не удалось добиться снижения таких видов преступлений как убийства. Возросло также число краж госимущества, почти вдвое увеличилось количество угонов автотранспорта.

Причиной этих недостатков является то, что не все ответственные за данные мероприятия работники лично организовали их на должном уровне. Провели отработку регионов, в результате чего в ряде районов было отмечено ухудшение оперативной обстановки. Так, если в прошлом году в Болнисском, Зугдидском и Ланчхутском районах в этот период не было зарегистрировано ни одного преступления, то в нынешнем в Болнисском районе учтено два факта телесных повреждений, кража личного имущества и похищение девушки. В Зугдидском районе зарегистрировано одно убийство и один факт кражи личного имущества, в Ланчхутском — телесное повреждение и кража личного имущества.

Не удалось добиться оздоровления оперативной обстановки в г. Поти, Боржомском, Дманисском, Карельском, Каспском, Сагареджойском, Сигнахском, Цагерском, Цулукидзевском РОВД, ряде других районов и в столице республики. Так, в Орджоникидзевском районе г. Тбилиси число преступлений за счет тяжких телесных повреждений увеличилось на три единицы, в Сабурталинском, за счет угона автотранспорта, — на две единицы. Если с 14 по 23 ноября 1987 года в Первомайском районе столицы республики не было учтено преступлений, то в нынешнем на этот же период в указанных районах зафиксировано соответственно 4 и 2 преступления.

Указанные недостатки в работе райотделов Тбилиси в определенной степени объясняются тем, что в данный период значительные силы Тбилисского гарнизона были задействованы в обеспечении охраны общественного порядка при проведении несанкционированных митингов и собраний неформальных групп молодежи.

В настоящее время по указанию руководства МВД республики в начале декабря проводятся очередные комплексно - профилактические мероприятия. Для их успешного осуществления руководители зон, возглавляющие эту работу, должны учесть допущенные недостатки и более конкретно и предметно решать все организационные вопросы с тем, чтобы добиться реального улучшения обстановки в обслуживаемых зонах и республике в целом.

**К. БУДЖИАШВИЛИ,**
подполковник милиции, начальник оргинспекторского отдела МВД Грузинской ССР.

### ქრონიკა

**პენსიაზე** გასვლასთან დაკავშირებით, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა, **ალექსი ნიკოლოზის ძე ინაური** გაანთავისუფლა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს წევრობისაგან.

**საქართველოს** სსრ სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარედ დაინიშნა ამხ. **გივი გრიგოლის ძე გუმბარიძე.**

## ოფიციალური ინფორმაცია

● **7 დეკემბერს,** მოსკოვის დროით 10 საათსა და 41 წუთზე სომხეთის ჩრდილოეთ რაიონებში მოხდა მიწისძვრა, რომელიც 8 ბალს აღემატებოდა. არის მსხვერპლი. მიწისძვრის შედეგების ლიკვიდაციისათვის შექმნილია მთავრობის კომისია.

● **სკკპ** ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი მ. ს. გორბაჩოვი სიტყვით გამოვიდა ნიუიორკში გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის 43-ე სესიაზე.

სომხეთის სსრ-ში ძლიერი მიწისძვრის გამო მ. ს. გორბაჩოვმა შეწყვიტა თავისი ვიზიტი და სსრ კავშირში გამოემგზავრა. ასევე გადაიდო მისი ვიზიტი კუბასა და ინგლისში.

● **გამოქვეყნდა** სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილება აზერბაიჯანის სსრ და სომხეთის სსრ-ში მოქალაქეთა კონსტიტუციური უფლებების უალრესად უხეში დარღვევების შესახებ.

● **ისრაელის** ქალაქ თელ-ავივიდან სპეციალური რეისით ჩამოიყვანეს რეციდივისტ ტერორისტთა ბანდა, რომელმაც ქ. ორჯონიკიძეში ხელში ჩაიგდო თვითმფრინავი და ცდილობდა ისრაელში ეპოვნა თავშესაფარი. ბანდის წევრები დაპატიმრებულნი არიან და მიმდინარეობს ძიება.

ПРАВОФЛАНГОВЫЕ



ВЫСОКИХ результатов в оперативно-служебной деятельности добивается оперуполномоченный БХСС Мцхетского РОВД, старший лейтенант милиции Джумбер Каломлецави. В 1984 году он успешно окончил Тбилисский факультет Московской высшей школы милиции МВД СССР, работал в службе уголовного розыска, и вот уже несколько месяцев успешно трудится в своем новом коллективе. Своей добросовестной работой коммунист Д. Каломлецави завоевал заслуженный авторитет среди своих сослуживцев, неоднократно поощрялся руководством.

Фото Г. Мгалоблишвили

* * *

Материалы о работе подразделений УБХСС МВД ГССР публикуются на 3-й стр.

პარტიული ცხოვრება

## დაამტკიცეს პარტიული დახასიათება

**რუსთავის** შს საქალაქო განყოფილებაში პირად შემადგენლობასთან პარტიულ პოლიტიკურ მუშაობაში ნაცად ფორმად არის დამკვიდრებული კომუნისტების ანგარიშის მოსმენა გაწეული მუშაობის შესახებ და მათი პარტიული დახასიათების დამტკიცება.

1988 წელს პარტიული ორგანიზაციის წინაშე ანგარიშით გამოვიდა 23 თანამშრომელი, მათ შორის 19 თანამშრომელზე დამტკიცდა პარტიული დახასიათება. ანგარიშით გამოსული 23 თანამშრომელიდან 6 ხელმძღვანელი მუშაკია. ერთ-ერთი მათგანია არასაუწყებო დაცვის დანაყოფის მეთაური, მილიციის მაიორი პეტრე მახარაშვილი. იგი 1962 წლიდან მუშაობს შს ორგანოებში. 1969 წლიდან რუსთავის შს საქალაქო განყოფილებაშია. არის პოლიტსწავლების ჯგუფის ხელმძღვანელი. 1971 წელს კოლექტივმა მას გამოუცხადა ნდობა და მიიღო სკკპ რიგებში.

დახასიათებაში ვკითხულობთ: **„მილიციის მაიორი პ. მახარაშვილი ხასიათდება დადებითად, როგორც კეთილსინდისიერი და შემსრულებელი თანამშრომელი, მასზე დაკისრებულ მოვალეობებს ასრულებს დროულად და ხარისხიანად. არის კარგი ორგანიზატორი, მისი ხელმძღვანელობით დანაყოფმა გარკვეულ წარმატებებს მიაღწია. პ. მახარაშვილის ოჯახში იზრდება სამი შვილი. ბავშვები სწავლობენ საშუალო სკოლაში და გამოირჩევიან კარგი სწავლითა და სანიმუშო ყოფაქცევით...**

**ამასთან ერთად პ. მახარაშვილს გააჩნდა ნაკლოვანებები მუშაობაში, მან ვერ შეძლო დასულიყო დანაყოფის კოლექტივის ყველა წევრამდის, რათა ყველა მათგანს კეთილსინდისიერად შეესრულებინა მათზე დაკისრებული მოვალეობანი. ამის გამო დანაყოფში ადგილი ჰქონდა სამსახურებრივი დისციპლინის დარღვევის ფაქტებს. აღნიშნულის გამო პ. მახარაშვილს გამოცხადებული ჰქონდა საყვედური პარტიული ხაზით...“**

პირველადი პარტიული ორგანიზაციის კრებამ პ. მახარაშვილს მოუსმინა პარტიული სასჯელი და დაუმტკიცა პარტიული დახასიათება.

პარტორგანიზაციების საქალაქო და რაიონულ კონფერენციაზე

# მართლწესრიგისა და კანონიერების განმტკიცებისათვის

### ბათუმი

**კონფერენციაზე** აღინიშნა, რომ ადგილი აქვს უხარისხო გამოძიების, საქმეთა გარჩევის გაჭიანურების შემთხვევებს. მექრთამეობა, ქურდობა, ცრუ ანგარიშების შედგენა, მოშვებულობა, უწესრიგობა სიცოცხლეს უწამლავს პატიოსან მშრომელს.

კონფერენციაზე სიტყვით გამოვიდა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს წევრობის კანდიდატი, პარტიის აჭარის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი გ. ემირიძე.

### ГАГРА

**НЕОБХОДИМОСТЬ** совершенствования деятельности правоохранительных органов отметил в своем выступлении делегат 48-ой городской партийной конференции **Г. Р. Цурцумия.** Он признал, что, несмотря на некоторое улучшение оперативной обстановки в городе, не удалось снижение таких опасных преступлений, как умышленное убийство, нанесение тяжких телесных повреждений, кража личного имущества граждан.

### თეთრიწყარო

**...წლევანდელი** დანაშაულის სტატისტიკა მეტყველებს, რომ რაიონის სამართალდამცავმა ორგანოებმა არადამაკმაყოფილებლად წარმართეს პროფილაქტიკურ-გამაფრთხილებელი მუშაობა, შესუსტდა ლექციური პროპაგანდა, ნაკლებად გადიან ადგილებზე, შრომით კოლექტივებში და მოსახლეობაში. ქმედითად ვერ იყენებენ საზოგადოებრივი ფორმირების დიდ შესაძლებლობებს. არადამაკმაყოფილებელია ადგილებზე საყრდენი პუნქტების, ამხანაგური სასამართლოების და სახალხო რაზმეულთა ჯგუფების მუშაობა.

# მანდარინს ემსხვერპლა...

**მიმდინარე** წლის 18 ნოემბერს საღამო ხანს ზუგდიდის რაიონის სოფელ ჩხორიაში ზურაბ ძიმიშვილის ბინაში უცხო ადამიანი ტრიალებდა, კარადებს და უჯრებს ქექავდა. საკბილო რომ ვერ იშოვნა, ხელცარიელი წასვლა ითაკილა, გადაწყვიტა ფანჯრიდან გადასულიყო ეზოში და მანდარინი დაეკრიფა. ის იყო სავსე ხელჩანთით ეზოდან უნდა გამოსულიყო, რომ ღობესთან ზ. ძიმცეიშვილი შენიშნა. იმის მაგივრად, რომ მანდარინიანი ხელჩანთა დაეტოვებინა და სახლის პატრონს გაცლოდა, მან იშიშვლა თვითნაკეთი დანა და გულის არეში რამდენიმე სასიკვდილო ჭრილობა მიაყენა...

ღამის სამი საათი იქნებოდა, როდესაც ეს შემაშფოთებელი ამბავი ზუგდიდის შს რაიგანყოფილების მორიგეს შეატყობინეს. იმავე წუთს შედგა ოპერატიული ჯგუფი განყოფილების უფროსის მოადგილის ოპერატიულ დარგში, მილიციის მაიორის ვ. იზორიას მეთაურობით. ჯგუფში ასევე შევიდნენ რაიონის პროკურორის თანაშემწე თ. ვარდიაშვილი, უფროსის მოადგილე სამსახურის დარგში, მილიციის მაიორი ა. ჭურღულია, სისხლის სამართლის სამძებრო ქვეგანყოფილების უფროსი, მილიციის მაიორი გ. ქებურია და ამავე ქვეგანყოფილების ოპერრწმუნებული, მილიციის უფროსი ლეიტენანტი რ. ქებურია.

...შემთხვევის ადგილის დათვალიერება არავითარ შედეგს არ იძლეოდა, არც მოწმე ჩანდა არსად. საქმეს ართულებდა ბნელი ღამეც, მაგრამ...

ერთი საათის ოპერატიული და საზრიანი მოქმედების შემდეგ მკვლელის ვინაობა დადგენილი იყო. ბოროტმოქმედი აღმოჩნდა მოკლულის თანასოფლელი, მესტიის ავტოსატრანსპორტო საწარმოს მძღოლი ჯ. დევდარიანი. დაკავებულის ბინიდან ამოიღეს სისხლიანი დანა, სისხლში გასვრილი მანდარინით სავსე ხელჩანთა, საბრძოლო შაშხანა და რამდენიმე დეტონატორი.

**გ. მგალობლიშვილი.**



* * *

**სურათზე:** ოპერატიული ჯგუფის წევრები.

ავტორის ფოტო.

**Периодическая аттестация сотрудников органов внутренних дел играет большую роль в улучшении работы по подбору и расстановке кадров, использованию сотрудников в соответствии с их профессиональным уровнем. Проведенная в 1987-1988 гг. аттестация политаппарата МВД республики по существу явилась завершением проводимой политотделом МВД ГССР работы, направленной на лучшую расстановку личного состава, с учетом деловых, политических и нравственных качеств, определение пригодности замполитов к службе, выявление наиболее способных и перспективных из них.**

# СЛУЖЕБНОЙ АТТЕСТАЦИИ— ДОЛЖНОЕ ВНИМАНИЕ

**В ЦЕЛЯХ** придания аттестованию более организованного, целенаправленного характера, максимальной объективности и гласности, была проведена большая подготовительная работа. В соответствии с приказом МВД СССР и указанием Политического управления МВД СССР, план и схема аттестования были разосланы на места. В политотделе МВД ГССР состоялось инструктивное совещание, отмеченный выше приказ был изучен в системе БСП.

Серьезное внимание в подготовительный период уделялось составлению служебных аттестаций. В них давалась широкая оценка личности, индивидуальных способностей, сильных и слабых сторон каждого сотрудника. Оценивались качества, определяющие политический, нравственный облик, профессиональное мастерство, давались конкретные рекомендации по устранению недостатков.

В основу всей работы по аттестованию были поставлены принципы гласности и демократии. Выслушивали сь замечания политработников по тексту аттестаций и, если они были объективны, вносились соответствующие изменения и поправки.

Вместе с тем, при подготовке характеристик допускались шаблонность, поверхностный подход, на что, при заслушивании в политотделе министерства о ходе проводимой аттестации в марте нынешнего года, было строго указано руководителям политотделов МВД Абхазии и Аджарии подполковникам милиции Э. Минасяну и И. Цулукидзе.

Итоги аттестации подтвердили, что политорганам республики удалось в основном заблаговременно избавиться от неподготовленных, не отвечающих предъявляемым требованиям политработников. Из 95 процентов политработников, аттестованных на настоящий момент комиссией, ни один сотрудник не был уволен или признан несоответствующим занимаемой должности, а 14 процентов замполитов признано подлежащими к выдвижению на руководящую работу. 10 политработников не было аттестовано, ввиду непродолжительного пребывания в занимаемой должности.

Проведенная аттестация позволила выявить и слабые стороны в работе с политаппаратом. Строго оценены по материалам аттестации те сотрудники, которые в последнее время ослабили партийно - политическое влияние на конечные результаты оперативно-служебной деятельности, в связи с чем в отношении 4 процентов политработников было принято решение о соответствии занимаемой должности, при условии улучшения работы, с повторным аттестованием через год.

Особую тревогу среди этой категории замполитов вызывают молодые, недавно назначенные сотрудники. Это свидетельствует о недостаточной подготовке политаппарата руководителями политотделов и политчастей, зональными сотрудниками политотдела МВД ГССР.

Типичными недостатками, высказанными в аттестациях, явились: недостаточное участие в оперативно-служебных мероприятиях, незнание специфики деятельности отраслевых служб, плохое владение табельным оружием, слабая физическая подготовка. Ряд политработников подвергся критике по поводу внешнего вида, в том числе и за лишний вес.

Высказанные в ходе аттестования и по его итогам критика, замечания и рекомендации легли в основу работы по повышению профессионального мастерства, совершенствованию боевой и служебной подготовки каждого конкретного сотрудника политаппарата.

В настоящее время начата практическая реализация выводов служебного аттестования. Из лиц, подлежащих выдвижению, четверо повышены в должности, остальные пока включены в резерв.

**О. НИНУА,**
**капитан внутренней службы, старший инструктор группы кадров политического отдела МВД ГССР.**

ПОЛИТУЧЕБЕ — ВЫСОКУЮ ЭФФЕКТИВНОСТЬ

# ОТЛИЧНЫЙ ПРОПАГАНДИСТ

**УСПЕШНО** совмещает выполнение непосредственных служебных обязанностей и общественных поручений старший госавтоинспектор ОГАИ УВД Юго-Осетии капитан милиции пропагандист Хазби Гулиев. За добросовестное отношение к исполнению партийных поручений, умелое проведение политзанятий среди рядового и младшего начальствующего состава партгрупорг группы ГАИ УВД Юго-Осетии Х. Гулиев награжден Политуправлением МВД СССР нагрудным знаком «Отличный пропагандист МВД СССР».



Не раз в своей милицейской практике капитан милиции Х. Гулиев проявлял оперативность и находчивость при задержании преступников, нарушающих правила дорожного движения водителей. Он часто выступает по радио и на страницах областной печати по вопросам безопасности дорожного движения.

Добросовестная четвертьвековая служба в милиции Х. Гулиева по достоинству оценена — он награжден медалями «За безупречную службу в МВД» всех трех степеней, «50 лет советской милиции» и «Ветеран труда», его послужной список украшает более 30 поощрений руководства МВД Грузинской ССР и УВД Юго-Осетии.

**А. МАЛАЯНЦ.**

სკკპ რიგებში მხოლოდ ღირსეულნი

# ნდობა გამოუცხადეს

**დავით** მიგინეიშვილი დაიბადა 1963 წელს ქ. ქუთაისში, მოსამსახურის ოჯახში. 1980 წელს სკოლის დამთავრების შემდეგ მუშაობა დაიწყო ქუთაისის სახანძრო დაცვის განყოფილებაში ტექნიკოსად. აქვე ვიტყვით, რომ დ. მიგინეიშვილის მამა შინაგან საქმეთა ორგანოებში მუშაობს. უმცროსმა ძმამაც მეხანძრის პროფესია აირჩია.

1981 წელს დავითი ჩაირიცხა ქ. ხარკოვის სახანძრო-ტექნიკურ სასწავლებელში, რომლის წარმატებით დამთავრების შემდეგ 1984 წელს დანიშნეს ქუთაისის სახანძრო დაცვის განყოფილებაში ინსპექტორად. 1985 წელს ექსპერიმენტით ჩაირიცხა ქ. მოსკოვის მილიციის უმაღლესი სკოლის თბილისის ფაკულტეტის დაუსწრებელ განყოფილებაზე. 1986 წელს გადაიყვანეს მე-40 გასამხედროებულ სახანძრო ნაწილში უფროს ინსპექტორად, ხოლო 1988 წლის მარტიდან მუშაობს რაზმის კადრების ინსპექტორად. 1984 წლიდან ირჩევენ ლენინის რაიონის სახანძრო ნაწილის პირველადი კომკავშირული ორგანიზაციის მდივნად. წელს კი დიდი ნდობა გამოუცხადეს —



მიიღეს სკკპ წევრობის კანდიდატად. მუშაობაში მიღწეული წარმატებებისათვის და სახანძრო დაცვის შექმნის 70 წლისთავთან დაკავშირებით დააჯილდოვეს საქართველოს ალკკ ცკ საპატიო სიგელით.

ჩვენი კრიტიკული გამოსვლის შემდეგ

# დაგვიანებული პასუხი რედაქციას

ა. წ. 20 აგვისტოს „მებრძოლი გუშაგის“ და თბილისის მონადირეთა და მეთევზეთა საზოგადოებასთან არსებული ბუნების დაცვის სექციის გამსვლელი სარეიდო ჯგუფი იტყობინებოდა, რომ 13 აგვისტოს მუხროვანის მეურნეობის ტერიტორიაზე ნადირობის სეზონისა და სამონადირეო წესების უხეში დარღვევისათვის დაკავებული იყო შრომა-გასწორების ერთ-ერთი დაწესებულების უფროსის მოადგილე წარმოების დარგში გ. კაბისაშვილი. მიუხედავად ხანგრძლივი მოლოდინისა, პირველი პასუხი დაწესებულების ხელმძღვანელობისაგან რედაქციამ 24 ოქტომბერს მიიღო.

დაწესებულების უფროსი, შ/ს მაიორი რ. ლეკიშვილი გვწერდა „... გ. კაბისაშვილის მხრივ, თითქოსდა ადგილი ჰქონდა აღნიშნულ „ნადირობას“ — საფუძველს მოკლებულია. ეს საკითხი შეიძლება მარტივად განვმარტოთ: გ. კაბისაშვილი ნადირობისა და თევზაობის მოყვარული არ არის. აღნიშნული ბადე და ფარანი არც მანქანაში აღმოუჩენიათ რეიდის მონაწილეებს და არც „ნადირობის“ დროს დაუკავებიათ იგი. ე. ი. საკითხი არარეალურადაა შესწავლილი, წერილის ავტორი არარეალურ მასალებს დაეყრდნო, რამაც შეცდომაში შეიყვანა მკითხველი...“

რედაქციაში და შემდეგ სამინისტროს პოლიტგანყოფილებაში მოხდა დაპირისპირება დაწესებულების ხელმძღვანელებსა და რეიდის მონაწილეებს შორის, სადაც გ. კაბისაშვილს კიდევ ერთხელ განემარტა სარეიდო ჯგუფის კომპეტენტურობა და მისი მხრიდან დაშვებული დარღვევის სიმძიმე...

15 ნოემბერს რედაქციაში მოვიდა რიგით მეორე შეტყობინება და ბრძანების ასლი, რომელსაც კვლავ ხელს აწერდა დაწესებულების უფროსი შ/ს მაიორი რ. ლეკიშვილი.

„გაცნობებთ, რომ ნადირობის წესების დარღვევის ფაქტზე, რომელსაც ადგილი ჰქონდა ა. წ. 13 აგვისტოს... 14 ნოემბერს ჩატარდა პირველადი პარტიული ორგანიზაციის კრება, სადაც გ. კაბისაშვილს გამოეცხადა შენიშვნა.

ცნობისათვის, მის მიერ გადახდილი ჯარიმის ქვითრები ორმოცი მანეთის ოდენობით გადაეცა გარდაბნის რაიონის უბნის ინსპექტორს ამხ. ჩიბურდანიძეს...“

ეს ორი ერთმანეთის საწინააღმდეგო პასუხი, დაწესებულების ხელმძღვანელობისაგან, კიდევ ერთხელ ადასტურებს იმას, რომ ფაქტს ადგილებზე ღრმა და საფუძვლიანი შესწავლა და რეაგირება სჭირდება.

**ხ. ალავიძე.**

# УБХСС НА ПУТИ ПЕРЕСТРОЙКИ



XIX საკავშირო პარტკონფერენციის კურსით

## ჩვენ და გარდაქმნა

**გვესაუბრება საქართველოს სსრ შს სამინისტროს სოცსაკუთრების დატაცებისა და სპეკულაციის წინააღმდეგ მებრძოლი სამმართველოს უფროსი, მილიციის პოლკოვნიკი ბ. ჭანტურიშვილი.**

**— რა ახალი ფაქტორები გამოვლინდა თქვენდამი რწმუნებული სამსახურის მუშაობის სტილის და მეთოდების გარდაქმნის პროცესში, რა დადებით ძვრებზე, სიძნელეებზე და პრობლემებზე შეგიძლიათ მიუთითოთ კოლექტივის მუშაობაში?**

სახალხო მეურნეობის ეკონომიკური მექანიზმის გარდაქმნა, წარმოება-დაწესებულებების თვითდაფინანსებაზე გადასვლა, დემოკრატიზაციის და საჯაროობის გაფართოება თავისთავად გულისხმობს ჩვენი სამსახურის მუშაობის სტილისა და მეთოდების გარდაქმნის აუცილებლობას. ამ მიმართულებით უკვე განვახორციელეთ მთელი რიგი ორგანიზაციული და პრაქტიკული ღონისძიებები. ერთი ძირითადი ფაქტორი, რომელმაც უნდა გადაწყვიტოს გარდაქმნის ბედი ჩვენს მუშაობაში, ეს არის კადრების იდეურ-პროფესიული დონის ამაღლება, მათი დაინტერესება. რაც მთავარია, ჩვენმა მუშაკებმა კარგად იციან, რომ ხელი უნდა შეუწყონ პარტიის პოლიტიკას ამ მიმართულებით და ამავე დროს არ მისცენ საშუალება ზოგიერთ პირებს მისი დისკრედიტაციისა. უნდა ითქვას, რომ მიუხედავად მთელი რიგი სირთულეებისა, რაც გამოწვეულია ეკონომიკაში მართვის ახალი მეთოდების შემოღებასთან და სხვა გარდაქმნებთან, ჩვენმა სამსახურმა ძირითადად დამაკმაყოფილებლად გაართვა თავი სამეურნეო დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლას. ამაზე მეტყველებს თუნდაც ის გარემოება, რომ კავშირის მასშტაბით ჩვენ ერთ-ერთი უკეთესი მაჩვენებლები გაგვაჩნია.

რაც შეეხება სიძნელეებს, სიახლე როგორც წესი არ ინერგება პრაქტიკაში ამა თუ იმ სირთულეების გარეშე. კოოპერატიული მოძრაობის განვითარებამ ძალზედ ბევრი სიძნელეები და პრობლემები წარმოშვა შინაგან საქმეთა ორგანოების მუშაობაში. დასაწყისში ჩვენ დიდ სიფრთხილეს ვიჩენდით, რომ ზიანი არ მიგვეყენებინა კოოპერატიული მოძრაობისათვის. მაგრამ, ვერც იმაზე ვხუჭავთ თვალს, რომ ზოგიერთი პიროვნება, კერძოდ ადრე საქმოსნობაში შემჩნეული ელემენტები, ცდილობენ მხოლოდ პირადი მიზნებისათვის გამოიყენონ კოოპერატივები.

ხელთა გვაქვს რიგი ფაქტები იმის შესახებ, რომ კოოპერატივები ნედლეულის გადამუშავების და პროდუქციის დამზადების ნაცვლად, საწარმოებთან ამყარებენ დანაშაულებრივ კავშირს, ღებულობენ მათგან ე. წ. „მარცხენა" მზა პროდუქციას, ადებენ თავის ფასებს, რის შემდეგ ასაღებენ რესპუბლიკის ფარგლებს გარეთ. ამგვარად, კოოპერატივები აღურიცხავი პროდუქციის გასაღებაში შუამავლის როლს ასრულებენ.

**— განვლილ პერიოდში მიღებული შედეგების ანალიზის მიხედვით რა უნდა გაკეთდეს კონკრეტულ უბნებზე გარდაქმნის პროცესის დაჩქარებისა და ოპერატიულ-სამსახურებრივი საქმიანობის მუშაობის ეფექტიანობის ასამაღლებლად?**

— გარდაქმნის პროცესის დაჩქარებისათვის ჩვენი მთავარი ამოცანაა, ერთის მხრივ, ბრძოლის შემდგომი გაძლიერება თანამდებობრივი და სამეურნეო დანაშაულის წინააღმდეგ, ყოველივე იმ ნეგატიური მოვლენების წინააღმდეგ, რაც ხელს უშლის ეკონომიკის მართვის ახალ ფორმებზე გადასვლას, ყოველივე იმის წინააღმდეგ, რომ დამნაშავე ელემენტებმა თავის მიზნებისათვის არ გამოიყენონ გარდაქმნის პროცესში წამოჭრილი ზოგიერთი ნაკლოვანებები. მეორეს მხრივ, საჭიროა პროფილაქტიკური მუშაობის შემდგომი გაძლიერება. უნდა გააქტიურდეს ბრძოლა მექრთამეობის წინააღმდეგ. ამ მანკიერ მოვლენას ჯერ კიდევ მყარი ნიადაგი გააჩნია.

ამასთან, განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს იმ წარმოება-დაწესებულებებს, რომლებიც გადასული არიან თვითდაფინანსებაზე და კოოპერირებაზე, რომ ადგილი არ ექნეს ანგარიშითი დანაშაულის ფაქტებს.

**— როგორ მიმდინარეობს საჯაროობის გაფართოება რესპუბლიკის შინაგან საქმეთა ორგანოებში და კერძოდ თქვენს სამსახურში. რა პრაქტიკული საქმიანობა მოაქვს ამ პროცესს შინაგან საქმეთა ორგანოების ყოველდღიურ საქმიანობაში?**

— საჯაროობამ დიდი დახმარება გაუწია მუშაობაში ჩვენს აპარატებს. კერძოდ, თუ ადრე წარმოების ხელმძღვანელის პიროვნების შესწავლა მის ხელქვეითებთან საუბრით შეუძლებელი იყო, ამჟამად ისინი თავისუფლად საუბრობენ ხელმძღვანელის მუშაობის მეთოდებისა და სტილის შესახებ, რითაც ადვილდება ჩვენს წინაშე მდგარი ამოცანების შესრულება.

### ТОЛЬКО ФАКТЫ

● 14 ноября сотрудниками ОБХСС Орджоникидзевского РОВД г. Тбилиси совместно с сотрудниками вневедомственной охраны района на факте хищения материальных ценностей с завода НПО «Элва» и спекуляции ими уличены заместитель начальника цеха завода НПО «Элва» В. К., мастер цеха О. Х. и рабочий Ю. Р.

● 18 ноября сотрудниками ОБХСС Ленинского РОВД г. Тбилиси на факте спекуляции уличен Г. Т., ранее судимый, оператор при железнодорожном почтамте, который в г. Ленинграде с целью наживы систематически скупал импортные гарнитуры и перепродавал их в Тбилиси по спекулятивным ценам. Всего за продажу мебельных гарнитуров «Магура», «Нора», «Обь-050» и кухонного гарнитура «Линед» Г. Т. получил выгоду в сумме 7.108 рублей.

Кроме того, при задержании Г. Т. во время посадки в самолет рейса Тбилиси-Ленинград, у него обнаружены и изъяты деньги в сумме 10.635, принадлежащие гр. М. Б., Л. Г., Г. Б. и К. К., которым Г. Т. должен был привезти из Ленинграда по спекулятивным ценам мебельные гарнитуры. Предполагаемая выгода должна была составить больше 3-х тысяч рублей.

● 23 ноября сотрудниками УБХСС МВД ГССР совместно с сотрудниками Горийского РОВД уличен за обсчет покупателя продавец Шавшвебского магазина запчастей Горийского межрайонного объединения «Автотехобслуживание» В. Ж.

### ИНФОРМАЦИЯ

## КТО КАК РАБОТАЕТ

БОРЬБА с хищениями социалистической собственности, взяточничеством и другими негативными явлениями — одно из основных направлений оперативно-служебной деятельности ОВД республики. Однако не во всех регионах положение в этом плане обстоит благополучно.

Как сообщили нам в УБХСС МВД ГССР, в нынешнем году относительно улучшили работу сотрудники УВД г. Кутаиси и Юго-Осетии, Горийского и Цхакаевского РОВД.

В то же время за 11 месяцев т. г., по сравнению с аналогичным периодом прошлого года ухудшили показатели в борьбе с хищениями соцсобственности Ленинский и Сабурталинский РОВД г. Тбилиси, Зугдидский ГОВД и Зугдидский РОВД, Телавский, Дманисский, Амбролаурский, Ахметский, Казбегский, Лагодехский и Цители-Цкаройский РОВД.

Неудовлетворительно ведется борьба с крупными организованными хищениями в Аджарской АССР, в г. Ткибули, Абашском, Ахалкалакском, Ванском, Чохатаурском и Цулукидзевском районах.

## სპირტიდან... საბრალდებო სკამზე

ამბავი, რომელსაც ბახუს თან არავითარი კავშირი არა აქვს

**ეს ისტორია კიდევ ერთხელ ადასტურებს, როგორ ლოგიკურადაა დაკავშირებული ერთი დანაშაული მეორესთან, როდესაც საქმეში სიხარბის საზომი — არაკანონიერი გზით ნაშოვნი ფული ერევა და ადასტურებს იმასაც, რომ ამგვარი ჯაჭვის ლოგიკური ბოლო რგოლი საბრალდებო სკამია. ახე კი უმეტესწილად იმ შემთხვევაში ხდება, თუ დანაშაულთან მებრძოლი ორგანოები სათანადო სიმაღლეზე არ დგანან.**

**რესპუბლიკის შს სამინისტროს სოცსაკუთრების დატაცებისა და სპეკულაციის წინააღმდეგ მებრძოლი სამმართველოს უფროსის მოადგილის, მილიციის პოდპოლკოვნიკ გ. პატარაიას, განყოფილების უფროსის, მილიციის მაიორ ზ. კვირაიას და ოპერრწმუნებულ, მილიციის კაპიტან ზ. ბალიაშვილს თავდაპირველად დანაშაულის მხოლოდ ერთი რგოლი ჰქონდათ ხელში: ოპერატიულ სიგნალზე შემოწმდა საწარმოო-სამეცნიერო გაერთიანება „იუვმორგეოლოგიის" გემი „იანტარი". შემოწმებისას გემის კაპიტანს ა. იარცევს აღმოუჩინეს 100 ლიტრი პოლიეთილენის ბალონებში ჩასხმული სპირტი.**

**მალე, რგოლს რგოლი მიემატა...**

**დადგინდა, რომ ვ. იარცევს სპირტი ქ. გელენჯიკში ხარეალიზაციოდ ვინმე გ. ბეხელიამ გადასცა, რომელსაც სპირტი ქ. ცხაკაიას ჩაის ფაბრიკის საამქროს უფროსმა,** სკპ წევრმა თ. ოკუჯავამ 5000 მანეთად მიჰყიდა.

სხვა პროფესიის ჩაის მოყვარულებმა, შეიძლება მხოლოდ ის იციოდნენ, რომ სპირტს და ჩაის საერთო მხოლოდ ჩაის ფოთლის დამუშავების პროცესში აქვთ. სამმართველოს თანამშრომლებს კი სხვა „საერთო" აინტერესებდათ — რასაც ზემოთნახსენები სიხარბის საზომი დავარქვით.

ინვენტარიზაციამ, ცხაკაიას ჩაის ფაბრიკაში 10320 მანეთის ღირებულების 240 ლიტრი ეთილენის სპირტის და 9120 მანეთის ღირებულების 10808 კგ შაქრის დანაკლისი გამოავლინა. შეისწავლეს საცმასალები და აი, რა გაირკვა:

ს. ფოცხოს კოლმეურნეობის თავმჯდომარემ კ. ყურაშვილმა, ამავე კოლმეურნეობის მთავარმა ბუღალტერმა თ. ტორჩინავამ, ნოსირის სანერგე მეურნეობის თავმჯდომარემ კ. პაჭკორიამ, ცხაკაიას ჩაის ფაბრიკის დირექტორმა თ. არველაძემ და № 1 ფაბრიკის მიმღები პუნქტის გამგემ თ. ტყებუჩავამ დაამზადეს ფიქტიური დოკუმენტები 180 ტონა ჩაიზე. „გაიმახქნებული" თანხიდან 30000 მანეთი ყურაშვილმა და პაჭკორიამ გადასცეს არველაძეს, ამ უკანასკნელმა კი აქედან 15 ათასი გადასცა... არც მეტი არც ნაკლები, ცხაკაიას ჩაის ფაბრიკის გენერალურ დირექტორს ვ. პაპასკირს...

როგორ გგონიათ ჯაჭვი აქ შეიკრა? გამოძიებამ დაადგინა, რომ ცხაკაიას მეორე ჩაის ფაბრიკის მიმღები პუნქტის გამგე გ. გაბელია დაუკავშირდა პაპასკირსა და ყურაშვილს, შეადგინა ანალოგიური ფიქტიური დოკუმენტები 4 ტონა ჩაის ფოთოლზე. პაპასკირს ამჯერად 1400 მანეთი ერგო, არველაძეს კი — 5000.

დღე დღეს მისდევდა, ძიება კი დანაშაულის ახალ რგოლებს აწყდებოდა, დამნაშავეთა წრე ფართოვდებოდა.

ოპერატიული მასალების გამოკვლევის შემდეგ დადგინდა, რომ პაპასკირს უშაფათის ჩაის ფაბრიკის დირექტორმა დ. საჯაიამ 5000 მანეთი მისცა ქრთამად. ცხაკაიელებს არც გეგეჭკორელები ჩამორჩნენ და... გეგეჭკორის რაიონის სოფელ ქუზუს ჩაის მიკროფაბრიკის წარმოების ყოფილმა უფროსმა რ. ნაჭყებიამ და მიმღები პუნქტის გამგემ ი. ნაჭყებიამ ცხაკაიაში საერთო გამონახეს ჩვენთვის ცნობილ თ. ოკუჯავასთან. შედგა ფიქტიური დოკუმენტები 11900 კგ ჩაიზე მითვისებული 11500 მანეთიდან 10500 მანეთი ოკუჯავამ ცხაკაიას ჩაის კონცენტრატების კომბინატის დირექტორს ვ. ცხაკაიას მიუტანა. ვ. ცხაკაიამ კი თავის მხრიდან სოფ. ჩხოროთოლის ჩაის მიკროფაბრიკის დირექტორ შონიასთან ერთადაც „გააიმახქნა" ზედდებული ფიქტიური დოკუმენტები 20800 კგ შავ და ბაიხოს ჩაის ფოთოლზე. საწყობის ინვენტარიზაციამ კი ამ ფაბრიკის საწყობში (გამგე რ. ზუხბაია) გამოავლინა 105755 კგ მზა პროდუქციის დანაკლისი...

ალიძრა მრავალი სისხლის სამართლის საქმე. არაკანონიერ შემოსავალს დახარბებულნი საზღაურს დაიმსახურებენ.

აი, ახეთია ამ ისტორიის „მოკლე კურსი", რომლის ფაქტების განზოგადება შორს წაგვიყვანდა და ალბათ არც იყო საჭირო, რადგან მსგავსი ისტორიები სამწუხაროდ შეგვხვედრია და ალბათ კიდევ შეგვხვდება, ვიდრე საზოგადოება სრულად არ გაიწმინდება წარსულის მახინჯი მემკვიდრეობიდან. ეს კი უპირველესად მათზეა დამოკიდებული, ვისაც საზოგადოებამ დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის საპატიო საქმე მიანდო.

ვ. ნადირაძე.

Фотоинформация











НА ЭТИХ снимках изображены богатства, которые раньше принадлежали тем, кто обкрадывал государство. Если б не оперативные действия сотрудников милиции, это добро и впредь бы «украшало» карманы преступников. Не секрет, что любителей легкой наживы еще много и необходимость избавить государство от таких элементов требует со стороны сотрудников милиции трудной и напряженной работы.

სპორტი — СПОРТ

# წარმატებების, პრობლემების

**გაიმართა** სპორტსაზოგადოება „დინამოს“ რესპუბლიკური საბჭოს III პლენუმი.

პლენუმზე მოხსენებით გამოვიდა რესპუბლიკური საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე, მილიციის გენერალ-მაიორი ჯ. მიქელაძე.

პლენუმზე ითქვა ჩვენი რესპუბლიკის დინამოელთა წარმატებებზე ოლიმპიურ თამაშებში, მსოფლიო, ევროპისა და სსრ კავშირის პირველობებზე. ამასთან აღინიშნა, რომ ოლიმპიურ გუნდში ვერ მოხვდა ვერც ერთი დინამოელი აფხაზეთიდან, აჭარიდან და ქუთაისიდან. კრიტიკულად შეაფასეს გასულ სეზონში თბილისის „დინამოს“ ფეხბურთელებისა და კალათბურთელების ახლანდელი გამოსვლა. ილაპარაკეს იმაზე, რომ ძალზე დაბალია თანამშრომელთა დასწრება სავალდებულო ფიზმომზადების ჯგუფებში. მიმდინარე წელს შემოწმებული 25 საქალაქო და რაიგანყოფილებიდან ყოველი მეოთხე არადამაკმაყოფილებლად შეფასდა (რუსთავი, ზუგდიდი, ზესტაფონი, ამბროლაური, ლენტეხი, ადიგენი, შრომა-გასწორების დაწესებულებათა სამმართველოს ქვედანაყოფები). ბევრ ქვედანაყოფში დაბალ დონეზეა სექციური მუშაობა სპორტის სამხედრო-გამოყენებით და სამსახურებრივ-ტექნიკურ სახეობებში.

პლენუმზე მიიღეს შესაბამისი დადგენილება.

**გ. თათეიშვილი.**

# ВСТРЕЧА В МВД СССР

**ДИНАМОВЦЫ — победители Олимпиады-88 — передали сотрудникам Министерства внутренних дел СССР памятный кубок и вымпел с автографами. Вручая их, победитель трех Олимпиад Виктор Санеев, чемпионы последних игр Александр Карелин и Татьяна Крайнова, подчеркнули, что динамовцев вот уже многие годы связывает крепкая дружба с сотрудниками органов внутренних дел.**

**Заместитель министра внутренних дел СССР И. Ф. Шилов тепло поздравил динамовцев с уверенным выступлением на Олимпиаде-88 и пожелал им новых побед.**

**Г. МАРКОВ.**

Москва.

# ЧЕМПИОНАТ ЗАВЕРШЕН

**НА ДНЯХ** в г. Батуми завершился лично - командный чемпионат МВД Грузинской ССР по самозащите без оружия, в котором приняли участие представители десяти органов и подразделений внутренних дел республики. Победители соревнований в личном и командном зачете определялись по результатам двух туров, первый тур — демонстрация приемов самозащиты без оружия и второй тур — борьба самбо.

В результате двухдневной борьбы победителями соревнований в личном зачете по весовым категориям стали: 57 кг — рядовой милиции **Ш. Талахадзе** (ТФМВШМ МВД СССР); 62 кг — старшина милиции **З. Бибиниидзе** (МВД Аджарской АССР); 68 кг — лейтенант милиции **Т. Арабули** (РОВД Гурджаани); 74 кг — **А. Хубашвили** (ТФМВШМ МВД СССР); 82 кг — рядовой милиции **М. Вешагури** (ТФМВШМ МВД СССР); 90 кг — рядовой милиции **Г. Персашвили** (ТФМВШМ МВД СССР); 100 кг — рядовой милиции **Д. Давиташвили** (ТФМВШМ МВД СССР); свыше 100 кг — лейтенант милиции **Д. Окруашвили** (УВД г. Тбилиси).

В командном зачете отлично выступила занявшая первое место сборная ТФМВШМ МВД СССР, пять воспитанников которой стали чемпионами. Приятным сюрпризом было успешное выступление в чемпионате команд УИД МВД ГССР и МВД Аджарской АССР, завоевавших соответственно второе и третье места. Необходимо отметить команду Гурджаанского РОВД, впервые и успешно выступившую в чемпионате МВД ГССР по служебно-прикладным видам спорта.

Вместе с тем, анализ результатов на чемпионате республики показал, что уровень подготовки команд по самозащите без оружия, в целом, остается на очень низком уровне, а такие ОВД, как ГОВД г. Рустави, МВД Абхазской АССР, ГОВД г. Поти привезли неподготовленные команды, в результате чего многие спортсмены получили нулевые оценки и были сняты с соревнований. Среди них были представители ГОВД г. Поти — Г. Кирия и Ю. Микадзе, МВД Абхазской АССР — А. Кешабян, Т. Пашян, Р. Ломидзе, Г. Джохадзе, ГОВД г. Рустави — А. Гурбанов, Г. Хубаев; Б. Азизов и И. Джичошвили из УВД г. Тбилиси.

Исходя из этого, можно сделать вывод, что руководителям данных ОВД, видимо, надо коренным образом изменить стиль и методы подготовки сотрудников к подобным мероприятиям, тем более, что владение самозащитой без оружия для сотрудника органов внутренних дел, является неотъемлемой составной частью при решении оперативно-служебных задач.

По окончании соревнования была сформирована сборная команда МВД Грузинской ССР, которая проводит учебно - тренировочный сбор в г. Лагодехи для подготовки к чемпионату МВД СССР, который состоится в г. Саратове с 13 по 18 декабря.

**Ф. ПОРТНОВ,**
**старший лейтенант внутренней службы, инспектор-методист отдела физподготовки и спорта органов внутренних дел Грузсовета «Динамо».**

ПОЛИТИЧЕСКАЯ КНИГА

# НОВЫЕ АСПЕКТЫ В ИДЕОЛОГИЧЕСКОЙ РАБОТЕ

● **С 1980 года в два раза вырос бюджет информационного агентства США (ЮСИА).**

● **Ассигнования на развитие телесети «Уорлднет» составили 47 млн. долларов.**

● **В руках Пентагона 1.200 периодических изданий.**

● **В ЦРУ работают около трех тысяч специалистов-«пропагандистов».**

● **Министерство обороны США имеет 250 собственных радиостанций и 40 телевизионных центров в тридцати странах.**

**ЭТИ ФАКТЫ** взяты из учебника для системы политической учебы «Проблемы идеологической борьбы на мировой арене», вышедшего недавно в Политиздате.

Красной нитью через всю книгу проходит мысль о том, что успех в идеологическом противоборстве, которое является реальностью, может быть достигнут не только и не столько разоблачением измышлений противников, а реальным вкладом каждого советского человека в решение задач перестройки, в выход нашей страны на передовые рубежи в экономическом развитии.

Именно благодаря возрастающему влиянию нового мышления, передовой оценки реальности современной жизни, из лексикона политиков Запада в последнее время исчезают слова и термины типа «империя зла».

Однако было бы неправильным полагать, что процессы укрепления взаимопонимания и доверия идут безболезненно, что не осталось у них противников и все «ястребы» превратились в «голубей».

Все более четко слышны призывы западных «советологов» отказаться от руководящей роли КПСС, марксизма - ленинизма. Ослабление и подрыв позиций правящих коммунистических и рабочих партий рассматривается ими как первая необходимая предпосылка расшатывания всей политической организации общества и системы народовластия в странах социализма.

Идеологические центры делают ставку на национализм, в том числе и клерикальный. Активизировались попытки разжигать вражду и ненависть на религиозной основе среди советских людей.

Цель упреждающей функции, подчеркивается в издании, — формирование прочных марксистско - ленинских убеждений, иммунитета чуждому влиянию, развитие политической культуры.

**Н. ТРОФИМЧУК,**

გ. სანადირაძე

# ნადირობა მგლებზე

რომანი-ქრონიკა

(იბეჭდება შემოკლებით)



**გამოქვაბულიდან** საშუალო ტანის მამაკაცი გამოვიდა.

„ისაა, — იცნო ვარლამ შადურმა. სურათით იცნო ახმად ხუჩბაროვი!“

„იგი აუჩქარებლად გამოემართა ჩვენსკენ. ამაყად ეჭირა თავი. მაგრამ სად არის მისი ამალა? აჰა, აგერ ისიც! დამქაშებსა და თავკაცს შორის გარკვეული მანძილია. ესეც წინდაწინაა მონიშნული, რათა უფრო ხაზგასმულად წარმოჩინდეს ახმად ხუჩბაროვის პიროვნება. ჯერ მან ჩამოგვართვა ხელი, მერე მისმა დამქაშებმა. ისეთი შთაბეჭდილება შემექმნა, ყაჩაღთა კი არა, რომელიღაც სახელმწიფო მოღვაწეთა წრეში აღმოვჩნდი — გამოზომილი ღიმილი, თავდაჭერა, ღირსება, დახვეწილი მანერები. თანადროული ტანსაცმელი — შალის გიმნასტურები, ქრომის ჩექმები, ზოგს ტყავის კურტაკიც აცვია, კურტაკის ზემოდან მაუზერები. თვით ხუჩბაროვი ფლეგმატური და უსიცოცხლო მომეჩვენა. ვითომ დაიღალა იგი ცხოვრებისაგან?“

ასე იტყვის ვარლამ შადური რამდენიმე ხნის შემდეგ.

მაგრამ ახლა იგი ცდილობს არცერთი წვრილმანი არ გამოეპაროს...

ხუჩბაროვმა თავი ასწია. მოდუნებული მზერა. ჩამქრალი თვალები:

— კეთილი იყოს თქვენი მობრძანება... არც ჩვენ გვაქვს ავი განზრახვა...

— მართალი გითხრათ, გვეგონა, ამჯერადაც გადაუდებელ საქმეზე იქნებოდით წასული! — მოჭრა ვარლამმა.

— ადამიანი ხლათფოთისთვისაა გაჩენილი. შეიძლება ასეც მომხდარიყო, მაგრამ ყველა საქმე გადავდე. — ის, რისთვისაც აქ ამოვედით ღირს ამად!

— თქვენი რწმუნებანი?

— სახელმწიფო უშიშროების კომიტეტიდან გახლავართ.

— უფრო ზუსტად?

— განყოფილების უფროსის დონე გაკმაყოფილებთ?

გაღიზიანება დაეტყო ვარლამს.

— ჯერჯერობით.

— რას ნიშნავს „ჯერჯერობით“?

— მე არ ვიცი რა უფლებებითაა აღჭურვილი თქვენი ბრწყინვალება.

ვარლამმა მიწოლილი ბოღმის შეკავება შეძლო. გაიღიმა. ეს იყო წამი, როცა უეცარ წყენას გამოუსწორებელი ზიანის მოტანა შეეძლო.

— მთას თავისი კანონები აქვს. მოდით ამჯერად ამ კანონს დავემორჩილოთ. რახან მესტუმრეთ დროებით გადავდოთ ჩვენი მოვალეობანი.

— მე არ ვიცი, პირადად თქვენ, რა „მოვალეობას“ გულისხმობთ, მაგრამ მე სწორედ იმ უდიდესმა მოვალეობამ მომიყვანა, რომელიც ჩემმა მთავრობამ და ჩემმა ხალხმა დამაკისრა. ბევრი გაურკვეველი რამ უნდა გაირკვეს.

— ვიცი, — თქვა ხუჩბაროვმა, მაგრამ მოდით, ჯერჯერობით გადავდოთ ეს საუბარი. მთაში სტუმარი მუდამ დაფასებული იყო. მინდა მასპინძლის უპირატესობით ვისარგებლო. ამიტომ, ჩვენს მდაბიურ სამყოფელში გეპატიჟებით..

„მზაკვრობს“, — გაუელვა ვარლამს...

**გაგრძელება. დასაწყისი იხ. „მებრძოლი გუშაგი“ № 45-49**

— მე მივხვდი ერთ რამეს, — დაიწყო ახმადმა, — თქვენთან ბრძოლას აზრი არა აქვს. დიდი ხანია მივხვდი. მაგრამ შეიძლება მთიდან დაგორებული ქვის შეჩერება? არ შეიძლება. მე ხალხი მახლდა... ხალხს ჩემი იმედი ჰქონდა... ისინი მომენდნენ. მე კი უკვე ვიცოდი მათი და ჩემი ბრძოლა უაზრო იყო, და იცით, როდის მერე დაიწყო ეს ორჭოფი? ოსმან გუბეს დაჭერის შემდეგ. იგი რომ ჩემმა უახლოესმა მეგობარმა ოსმანმა ჩაგაბარათ?! გახსოვთ ალბათ ასეთი აბრაგი — ოსმან შადიევი. მანვე აამხედრა ბიჭები ხასან ტერლოევის წინააღმდეგ. შეიძლება ეს ოსმანის გარეშეც მოხდა... არ ვიცი... იგი დიდი ხანია უტრიალებდა გუბეს... მეგონა მეტისმეტი ერთგულებით აკეთებდა ამას... სინამდვილეში კი თქვენი კაცი ყოფილა. ტფუ! არ მიყვარს მოღალატე კაცი... — ახმადმა თვალები დახუჭა, — წლები გარბის ადამიანი კი ფიქრობს, — თქვა მცირეოდენი ხნის შემდეგ — ცას გამოვეკრებით. სინამდვილეში წამის ერთ გაელვებად მოსულა ქვეყანაზე. ხანდახან ღამით ცას გავყურებ, მიყვარს ვარსკვლავიანი ცის ყურება. წყდება ვარსკვლავი... რა უცნაურად წყდება (თუ გიყურებიათ!) ერთბაშად იელვებს, რაღაც პაწია მონაკვეთს გასერავს და ქრება... იყო და არა იყო რა... ასეა ადამიანიც.

— ბატონო შადურო! — დაიწყო ახმადმა, — ფხოვიდან აქამდე შორი გზაა, ჩვენ ცოტა მოგვიანებით გელოდებოდით და საუზმის თადარიგი არ დაგვიჭერია. ვერ გავითვალისწინეთ, რომ ყაზბეგელ კაცს არ გაგიჭირდებოდათ ციცაბოზე სიარული!

ვარლამმა გაკვირვებით შეხედა.

— ვინ გითხრათ რომ ყაზბეგიდან ვარ?

ხუჩბაროვმა ცბიერად ჩაიცინა.

— ჩემმა მდგომარეობამ. მე აქ ჩემი სახელმწიფო მაქვს. ჩემი დაზვერვა, ჩემი მეთოდები. ხომ უნდა ვიცოდე, ვინ მოდის სტუმრად?

ვარლამს წყენა დაეტყო.

— მაშინ რა საჭირო იყო წელანდელი დაკითხვა?

— ფორმალობისათვის. ეს მე ვიცოდი თქვენი ვინაობა, ჩემმა ამხანაგებმა ხომ არ იცოდნენ?...

ვარლამმა მოჭრა:

— მუჰამედმა თქვენ შეწყალების და ხელშეუხებლობის საბუთი ამოგიტანათ, მთავრობის ხელმძღვანელთა ხელმოწერილი... ეს თქვენი სურვილი იყო. რატომ გადახვედით სიტყვას?

ხუჩბაროვის უსიცოცხლო თვალებში წამით გაიელვა ნაპერწკალმა.

— ყალბი გვეგონა. ვინ იფიქრებდა, თუ მთავრობა მოიცლიდა ვილაც ხუჩბაროვისათვის.

— ჩავთვალოთ, რომ მთავრობის საბუთის ამბავი გაურკვევლობის შედეგი გახლდათ. მე ხომ მენდობით?

— თქვენ? — სადღაც ვარლამის თავს ზემოთ იცქირებოდა ახმადი.

— მაშინ არც შევხვდებოდით ერთმანეთს...

●

(გაგრძელება შემდეგ ნომერში).

# ПРИГОВОР ПОЛИЦЕЙСКИМ

**ТУРЕЦКИЙ** суд приговорил пятерых полицейских к тюремному заключению сроком на 33 месяца каждого. Всем предъявлено обвинение в том, что в 1984 году они пытали и замучали до смерти 24-летнего политзаключенного.

# УЛЫБКА ХУДОЖНИКА



НАШ АДРЕС: ТБИЛИСИ, 380064. УЛ. ГОГОЛЯ, 23, ТЕЛЕФОНЫ:
ჩვენი მისამართია: თბილისი, 380064, გოგოლის ქ. № 23. ტელეფონები: 95-66-72; 99-1-41-24.

რედაქტორი ა. კობალაძე

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა. იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში, ხოშარაულის 29.

უე 00384